საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა

ინგა სეხნიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის წევრი

ია გაბედავა – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ჯ. ჩ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 16.10.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 148/18

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი – ადვოკატი ნ. გ. /სიითი №/ სპეციალიზაცია - სამოქალაქო სამართალი.

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. გ.-სთვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1. 2018 წლის 16 ოქტომბერს ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ჯ. ჩ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ნ. გ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2016 წელს საჩივრის ავტორი შეუთანხმდა ადვოკატ ნ. გ.-ს სამოქალაქო საქმესთან დაკავშირებით საადვოკატო მომსახურების მიღების თაობაზე. კერძოდ, ჯ. ჩ.-ს სურდა საცხოვრებელი კორპუსის ეზოში მდებარე ავტოფარეხი მის საკუთრებაში დარეგისტრირებულიყო.

1.2. საჩივრის ავტორმა მოთხოვნის შესაბამისად, ადვოკატ ნ. გ.-ს გადასცა საქმის მასალები და 150 ლარი სასამართლოში სარჩელის შეტანისათვის სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად. მოგვიანებით, ადვოკატმა ჯ. ჩ.-ს აცნობა, რომ მისი ავტოფარეხის ღირებულება 1200 ლარს შეადგენდა და შესაბამისად, სასამართლოში „საქმის მოგვარებისთვის" დამატებით 360 ლარი სჭირდებოდა, რაც ჯ. ჩ.-მ მოთხოვნისთანავე ხელზე გადასცა, თუმცა ადვოკატს კონკრეტულად არ განუმარტავს აღნიშნული თანხები საქმისწარმოების რა ხარჯებს უნდა მოხმარებოდა.

1.3. ადვოკატმა ნ. გ.-მ, როგორც ჯ. ჩ.-ის წარმომადგენელმა სამოქალაქო საქმესთან დაკავშირებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით და სახელმწიფო ბაჟის სახით გადაიხადა 100 ლარი, თუმცა სასამართლომ სარჩელი არ მიიღო წარმოებაში, რის თაობაზეც ადვოკატმა მას მიაწოდა ინფორმაცია და ბაჟის სახით გადახდილი თანხა ჯ. ჩ.-ს უკან დაუბრუნდა.

1.4. ჯ. ჩ. ინფორმირებული იყო იმის თაობაზე, რომ ადვოკატი ნ. გ. არ იყო სისხლის სამართლი სპეციალიზაციის, თუმცა ადვოკატი რამდენჯერმე ახლდა საგამოძიებო ორგანოში საჩივრის ავტორს მის საქმესთან დაკავშირებით, მისი თხოვნით, რის გამოც საჩივრის ავტორმა ადვოკატს თავისი ინიციატივით 200 ლარი გადასცა.

1.5. ჯ. ჩ. ადვოკატ ნ. გ.-სთან ვერ ახერხებდა კომუნიკაციას და მიუხედავად დაპირებისა, არ უბრუნებს მისთვის გადაცემულ თანხას - 410 ლარს. საჩივრის ავტორმა ადვოკატ ნ. გ.-ს წინააღმდეგ საჩივრით მიმართა პროკურატურასაც თანხის დაბრუნების მოთხოვნით. საჩივრის ავტორის განმარტებით, თანხის დაბრუნების შემთხვევაში, ადვოკატის მიმართ არ ექნება პრეტენზია.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1. 2019 წლის 31 ივლისს ადვოკატმა ნ. გ.-მ წარმოადგინა წერილობითი განმარტება და ამავე წლის 02 ოქტომბერს განხილვის კოლეგიის სხდომაზე ზეპირი ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვითაც, ის ჯ. ჩ.-ს შეუთანხმდა საადვოკატო მომსახურების თაობაზე სამოქალაქო საქმესთან დაკავშირებით. კერძოდ, საქმე ეხებოდა ჯ. ჩ.-ის დიშვილის საკუთრებაში დარეგისტრირებულ სადავო ავტოფარეხს. ადვოკატმა ნ. გ.-მ ჯ. ჩ.-ს განუმარტა, რომ შესაძლოა, საქმე არ ყოფილიყო პერსპექტიული, თუმცა მისი თხოვნით, დაიწყო საქმის წარმოება.

2.2. ადვოკატის განმარტებით, ჯ. ჩ.-მ მას გადასცა სახელმწიფო ბაჟის გადახდისათვის საჭირო თანხა - 100 ლარი. აღნიშნულის გარდა, ადვოკატს საჩივრის ავტორისგან რაიმე თანხა არ მიუღია. ადვოკატი ნ. გ. გაეცნო საქმის მასალებს, რის შემდგომაც, წარადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი ჯ. ჩ.-ის საქმესთან დაკავშირებით, თუმცა სასამართლომ სარჩელი წარმოებაში არ მიიღო, რის გამოც, ჯ. ჩ.-ს სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხა უკან დაუბრუნდა. აღნიშნულის თაობაზე ადვოკატმა ინფორმაცია მიაწოდა ჯ. ჩ.-ს. ადვოკატ ნ. გ.-ს განცხადებით, ჯ. ჩ.-ს საადვოკატო მომსახურების განხორციელების პერიოდში არ ჰქონდა შეზღუდული მასთან კომუნიკაცია.

2.3. ადვოკატის განმარტებით, ის არ არის სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატი, თუმცა ჯ. ჩ.-ის დაჟინებული თხოვნის გამო, რამდენჯერმე იმყოფებოდა მასთან ერთად საგამოძიებო ორგანოში.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ნ. გ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე. საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, შესაძლოა, ადვოკატი ნ. გ. არ აწვდიდა საჩივრის ავტორს ინფორმაციას საქმის მსვლელობის და საქმისწარმოების ხარჯებთან დაკავშირებით, რის გამოც, შესაძლოა, ადვოკატმა დაარღვია ინფორმირების ვალდებულება.

3.2 საჩივრის ავტორის მიერ მითითებულ გარემოებაზე, რაც ეხება ადვოკატ ნ. გ.-სთვის რამდენჯერმე თანხის გადაცემას, საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ საჩივრის ავტორი ადასტურებს, სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის - 100 ლარის მიღების ფაქტს, ამასთან, უთითებს, რომ რამდენჯერმე ადვოკატს გადასცა გარკვეული თანხები და მისი მოთხოვნაა ადვოკატმა დაუბრუნოს 410 ლარი. ადვოკატი არ ადასტურებს აღნიშნული თანხების მიღების ფაქტს. საპროცესო კოლეგიამ შეაფასა საჩივრის ავტორის მიერ მითითებული პრეტენზია ადვოკატისათვის გადაცემული თანხის დაბრუნების თაობაზე, რომლის ფარგლებში არ გამოიკვეთა ადვოკატის მიერ სავარაუდო ეთიკური ნორმის დარღვევა და მიუთითა, რომ თანხის დაბრუნების თაობაზე მოთხოვნის განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მეშვიდე პუნქტის თანახმად, ეთიკის კომისიის უფლებამოსილებას წარმოადგენს ადვოკატის მიმართ დისციპილინური პასუხისმგებლობის დაკისრება. შესაბამისად, ეთიკის კომისია ვერ იმსჯელებს გადახდილი თანხის უკან დაბრუნების საკითხზე და მოცემული მოთხოვნით, საჩივრის ავტორს შეუძლია მიმართოს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოს.

3.3 საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ ზემოთ აღნიშნული ფაქტების ერთობლიობა ქმნის ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.6 მუხლის შემადგენლობას, რაც ნიშნავს, რომ მათი განხილვის სტადიაზე დადასტურების შემთხვევაში, ადვოკატს შესაძლოა, დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 საჩივრის ავტორი ჯ. ჩ. ადვოკატ ნ. გ.-ს შეუთანხმდა სამოქალაქო საქმეზე საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა ახსნა-განმარტებები;
2. 2016 წლის 13 მაისის მინდობილობა

4.2 2016 წლის 14 სექტემბერს ადვოკატმა ნ. გ.-მ, როგორც ჯ. ჩ.-ის წარმომადგენელმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეზე სარჩელით მიმართა მოპასუხე გ. გ.-ის წინააღმდეგ გარიგების ბათილად ცნობის თაობაზე

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2018 წლის 13 თებერვლის თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება;

4.3 ჯ. ჩ.-ის სამოქალაქო სარჩელის სასამართლოში წარდგენისას, ადვოკატმა ნ. გ.-მ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟის სახით - 100 ლარი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2018 წლის 13 თებერვლის თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება;

4.4 2016 წლის 19 სექტემბრის განჩინებით, მოსარჩელე ჯ. ჩ.-ს უარი ეთქვა სარჩელის განსახილველად მიღებაზე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2019 წლის 13 თებერვლის თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება;

4.5 ადვოკატმა ნ. გ.-მ, როგორც ჯ. ჩ.-ის წარმომადგენელმა 2018 წლის 07 თებერვალს განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დაბრუნება. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსარჩელე ჯ. ჩ.-ს დაუბრუნდა სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2020 წლის 13 თებერვლის თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება;

4.6 მხარეებს შორის სადაოა შემდეგი ფაქტი: ადვოკატი ნ. გ. საჩივრის ავტორს ჯ. ჩ.-ს არ აწვდიდა ინფორმაციას საქმის მსვლელობის და საქმისწარმოების ხარჯებთან დაკავშირებით.

- აღნიშნულ გარემოებაზე საჩივრის ავტორი უთითებს, რომ ადვოკატ ნ. გ.-სთან კომუნიკაციას ვერ ახერხებდა, მისგან ვერ იღებდა ინფორმაციას საქმის მიმდინარეობის თაობაზე. ამასთან, საჩივრის ავტორი ადასტურებს, რომ ადვოკატმა გაუწია კონსულტაცია მის საქმესთან დაკავშირებით, განუმარტა, რამდენი იყო სახელმწიფო ბაჟის სახით გადასახდელი. ადვოკატმა მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით სამოქალაქო საქმეზე და გადაიხადა სახელმწიფო ბაჟის სახით - 100 ლარი, რომელიც ჯ. ჩ.-ისგან მიიღო მან. საჩივრის ავტორი ადასტურებს, რომ ადვოკატმა მიაწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მისი სარჩელი წარმოებაში არ მიიღო სასამართლომ, რის შემდგომაც სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხა დაუბრუნდა.
- ადვოკატი ნ. გ. უარყოფს საჩივრის ავტორი მოცემულ პოზიციას და განმარტავს, რომ ჯ. ჩ. ინფორმირებული იყო მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე.
- შესაბამისად, საჩივრის ავტორის ბრალდება ადვოკატის მიმართ, ეფუძნება მხოლოდ თავის განმარტებას, ამასთან, საჩივრის ავტორი თავად ადასტურებს საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის, მათ შორის სასამართლოში საქმისწარმოების და სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე ადვოკატისგან ინფორმაციის მიღების ფაქტს.

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ნ. გ.-ს არ უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1 განხილვის კოლეგიის შეფასებით, არ დადასტურდა, რომ ადვოკატმა ნ. გ.-მ დაარღვია საპროცესო კოლეგიის მიერ მითითებული შემდეგი მუხლი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი: „ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წამოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ".

6.2 ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა ადვოკატის პროფესიული ღირებულებებისა და მის მიერ ეთიკური ვალდებულებების დაცვის საფუძველზე ყალიბდება. კლიენტის ინფორმირების ვალდებულება გულისხმობს სწორი და სრულყოფილი ინფორმაციის დროულად და ჯეროვნად მიწოდებას, რაც უზრუნველყოფს საქმის მსვლელობის პროცესში კლიენტის ჩართულობას. კლიენტისათვის საქმესთან დაკავშირებით არასწორი ინფორმაციის მიწოდება, კლიენტის მიერ ადვოკატისადმი ნდობის დაკარგვის საფუძველი ხდება.

6.3 ეთიკის კომისიამ 2010 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე 022/10 აღნიშნა რომ ,,ადვოკატმა კლიენტს უნდა მიაწოდოს საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია და კავშირი ჰქონდეს მასთან საქმის წარმოების პროცესში, როდესაც ადვოკატის მიერ საქმესთან დაკავშირებით ხორციელდება საპროცესო მოქმედებები და საქმესთან დაკავშირებით არსებობს ახალი გარემოებები". ეთიკის კომისიამ კლიენტის დროული ინფორმირება გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადანაწილებას დაუკავშირა 2012 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე 092/11, სადაც განმარტა, რომ ,,ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება უკავშირდება გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადანაწილებას, კლიენტი ჩართულია საქმის მიმდინარეობის თაობაზე და აქვს შესაძლებლობა, გონივრულად მართოს საკუთარი ქმედებები. ადვოკატი ვალდებულია განუმარტოს კლიენტს საკითხები ზედმიწევნით, რაც კლიენტს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები."

6.4 განსახილველ შემთხვევაში, არ დასტურდება ის გარემოება, რომ ჯ. ჩ.-ს შეზღუდული ჰქონდა კომუნიკაცია ადვოკატთან და მისგან ვერ იღებდა ინფორმაციას საქმის მიმდინარეობის თაობაზე. საქმეში წარმოდგენილი 2018 წლის 13 თებერვლის თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინებით დასტურდება, რომ ადვოკატი ნ. გ. წარმოადგენდა ჯ. ჩ.-ის ინტერესებს. სასამართლოში საქმისწარმოების შესახებ ინფორმაციას საჩივრის ავტორი იღებდა ადვოკატისგან (იხ. პუნქტი: 4.6), მათ შორის საჩივრის ავტორა ადვოკატისგან განემარტა სარჩელის წარდგენისათვის გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა. ამასთან, გარდა სამოქალაქო საქმეზე საადვოკატო მომსახურების გაწევისა, ადვოკატი ჯ. ჩ.-ს საქმესთან დაკავშირებით, ახლდა საგამოძიებო ორგანოში. საჩივრის ავტორი ინფორმირებული იყო ადვოკატის სპეციალიზაციის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში, არ დგინდება ის გარემოება, რომ ადვოკატ ნ. გ.-ს მისი თხოვნით საჩივრის ავტორმა 100 ლარის გარდა, დამატებით გადასცა თანხა - 360 ლარი, რის თაობაზეც ადვოკატმა არ მიაწოდა კონკრეტული ინფორმაცია და ზოგადად განუმარტა, რომ „საქმის მოგვარებისთვის იყო საჭირო". აღნიშნული გარემოება ეფუძნება მხოლოდ საჩივრის ავტორის პოზიციას, მათ შორის, საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება, რითიც დადასტურდებოდა საადვოკატო მომსახურების ფარგლებში აღნიშნული თანხის ადვოკატისთვის გადაცემის ფაქტი. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევაში, არ დგინდება ადვოკატ ნ. გ.-ს მიერ კლიენტის ინფორმირების ვალდებულების დარღვევა.

6.5 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ კანონის 28.14 მუხლით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 3.2, 5.7, 19, 20, მე-40 მუხლის მეორე პუნქტით და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით გადაწყვიტა:

III სარეზოლუციონაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №148/18 ადვოკატ ნ. გ.-ს №/ არ დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე საბოლოოა და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ინგა სეხნიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ია გაბედავა/